ხელშეკრულება № 2/07

ქ. გორი 27 იანვარი 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, წარმოდგენილის - მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ***დავით ჩხარტიშვილის*** (შემდგომში - ***თეატრი***) სახით და მეორეს მხრივ, **ფ/პ თეა კიწმარიშვილი (01022007068)**, (შემდგომში - ***შემსრულებელი- "მოწვეული მსახიობი")*** თეატრი და შემსრულებელი ცალ-ცალკე მოხსენებულნი არიან, როგორც ,,მხარე" და ერთად როგორც ,,მხარეები".

მხარეები მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის განკარგულება N99 2012 წლის 24 იანვარი და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის (მხარეთა შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს) საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ***,,ხელშეკრულება")*** და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: CPV – 92312000 - სახელოვნებო მომსახურებები, კერძოდ:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შემსრულებელი მიიღებს მონაწილეობას და გაივლის რეპეტიციას თეატრის მიმდინარე რეპერტუარის ყველა/ახალ სპექტაკლში (სადაც დაკავებულია), თეატრის დირექციის მიერ დათქმულ დღეს, დათქმულ ადგილზე და თეატრის მიერ მიცემული მითითებების შესაბამისად (შემდგომში - ***სამუშაო***).

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2..1. წინამდებარე ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს **1000 (ერთი ათასი)** ლარს.

2..3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის ***თეატრი შემსრულებელს*** **საკუთარი სახსრებიდან გადაუხდის თანხას, თეატრის დასის მმართველის მიერ წარდგენილი დანართის საფუძველზე, შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში,** საქართველოს შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

მუხლი 3. მომსახურების ხარისხი და გარანტია

3.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 4. მომსახურების ადგილი და ვადა

4.1 „შემსრულებელი" იძლევა გარანტიას, რომ იგი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალხარისხოვნად გაწევას თეატრის დირექციის მიერ დათქმულ დროს.

4.2 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ იგი სამუშაოს შეასრულებს: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #24 და გასტროლის შემთხვევაში თეატრის დირექციის მიერ დათქმულ ადგილზე.

მუხლი 5. მომსახურების მიღება- ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება შესრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ეძლევა ამ ხელშეკრულების ხელისმომწერ პირებს.

მუხლი 6. ანგარიშწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

6.2 ,,შემსრულებეთან" ანგარიშწორება განხორციერლდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. ,,შემსრულებებლი" ვალდებულია:

ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ის

ოდენობით.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის გზები

11.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაჭრელად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12 . გადასახადი და დაბეგვრა

შემსყიდველი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 27 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრამდე.

მუხლი 14.

სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსრულებელი“	„თეატრი”
ფ/პ თეა კიწმარიშვილი	ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის
პ/ნ **01022007068**	პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.
მის: ქ.თბილისი, ----------	მის:გორი ჭავჭავაძის ქ №24
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „საქართველოს ბანკი“	
საბანკო კოდი: BAGAGE22	ტელეფონი: 27-33-06
ანგარიშის ნომერი: GE70BG0000000266841700	
ტელეფონი: ----------	
თეა კიწმარიშვილი	თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
_____	დავით ჩხარტიშვილი
	_____
	Davit Chkhartishvili Подписано цифровой подписью: Davit Chkhartishvili Дата: 2020.01.29 16:53:55 +04'00'